

შპს „ორისი“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

განმარტებითი შენიშვნები..... 7

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასება.....	12
4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან.....	12
5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
7. ფინანსური შემოსავალი	13
8. ძირითადი საშუალებები.....	13
9. არამატერიალური აქტივები.....	14
10. სხვა გრძელვადიანი აქტივები.....	14
11. სხვა მიმდინარე აქტივები	15
12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი	15
13. ფული და ფულის ექვივალენტები	15
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	16
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	16

შპს „ორისი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	1,622,897
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	5	(43,166)
საერთო მოგება		1,579,731
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(789,878)
ფინანსური შემოსავალი	7	44,438
მოგება დაბეგვრამდე		834,291
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		834,291
წლის სხვა სრული შემოსავალი		-
წლის სრული შემოსავალი		834,291

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,427,741	1,459,547
არამატერიალური აქტივები	9	48,774	43,739
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	19,007	20,007
სხვა მიმდინარე აქტივები	11	51,484	60,658
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი	12	37,340	36,795
გადახდილი ავანსები		29,797	7,880
სავაჭრო მოთხოვნები		41,418	34,416
ფული და ფულის ექვივალენტები	13	4,152,122	5,069,765
სულ აქტივები		5,807,683	6,732,807
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,285	1,285
გადაფასების რეზერვი		5,955	5,955
გაუნაწილებელი მოგება		5,758,792	6,713,975
სულ კაპიტალი		5,766,032	6,721,215
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		21,711	3,567
მიღებული ავანსები		19,940	8,025
სულ ვალდებულებები		41,651	11,592
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,807,683	6,732,807

შპს „ორისი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	1,285	5,955	6,713,975	6,721,215
წმინდა მოგება	-	-	834,291	834,291
წლის სხვა სრული	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	834,291	834,291
გაცემული დივიდენდი	-	-	(1,789,474)	(1,789,474)3)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,285	5,955	5,758,792	5,766,032

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება დაბეგვრამდე:		834,291
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	39,658
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სხვა დანახარჯები		(829)
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		(7,000)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		(546)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		18,145
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		883,718
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(12,888)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(12,888)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული სესხის ძირის დაფარვა		1,000
გაცემული დივიდენდი		(1,789,474)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,788,474)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	13	5,069,765
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		(917,643)
31 დეკემბრის მდგომარეობით	13	4,152,122

განმარტებითი შენიშვნები

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ორისი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 1995 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი - 206033754, იურიდიული და ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 12 ზ.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კომპანიებისთვის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება და კომპლექსური მომსახურება.

კომპანიის დამფუძნებლები არიან: დავით და გიორგი გოთოშია, თითოეული 50%-50%-ის წილის ფლობით.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 25 და 25 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს), რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა სარეკომენდაციო მითითება, რომელიც 3 კატეგორიის საწარმოთათვის შეღავათს ითვალისწინებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი, თუმცა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მცირე ფასს-ით მომზადებულ სრულ პაკეტს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა**ფინანსური ინსტრუმენტები****(ა) გაცემული სესხები**

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(გ) სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ასახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

(დ) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ე) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ვ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავალი პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებიდან

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

(გ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 1 იანვარს	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766	3.0701
გაცვლითი საშუალო კურსი 2018 წლის	2.5355	2.9913

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა	60-65
ელექტრო გადაცემის და კავშირგაბმულობის მოწყობილობები	6-22

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საოფისე აღჭურვილობა	5-63
ავეჯი და სხვა ინვენტარი	9-32
სატრანსპორტო საშუალებები	30-35

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ლიცენზიები	26-40
სხვა არამატერიალური აქტივები	25-35

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ინსტრუქციის სახით წიგნის გამოშვებასთან, ელექტრონული დისკისა და ელექტრონული გასაღების შეძენასთან, და პროგრამების არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ- იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-ლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ღირებულების (სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა- ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, გაცემული სესხების ანარიცხების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგენს ძირითადად პროგრამული უზრუნველყოფის, ორგანიზაციული მართვის სისტემების : ორის ბუღალტერიის, ორის მენეჯერის, ორის მარკეტის და ორის დისტრიბუტორის ლიცენზირებული პროგრამების რეალიზაციის თანხას.

5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

იგი მოიცავს 3 კომპონენტს: პროგრამული უზრუნველყოფის ელექტრონულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებულ ხარჯს 6,569 ლარის ოდენობით, ხოლო ელექტრონული გასაღებისა (HASP) და დისკის ხარჯს 36,597 ლარის ოდენობით.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ხარჯის დასახელება	2018 წელი
	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	659,739
ცვეთა და ამორტიზაცია	39,658
სამეურნეო ხარჯი	28,670
ზარალი საკურსო სხვაობიდან	19,291
დაზღვევის ხარჯი	10,438
სხვა საერთო ხარჯი	10,470
კომუნიკაციის ხარჯი	8,051

შპს „ორისი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საგადასახადო ხარჯი	7,390
კომუნალური ხარჯი	6,171
სულ	789, 878

7. ფინანსური შემოსავალი

	2018 წელი
დასახელება	ლარი
საპროცენტო შემოსავალი	27,371
მოგება საკურსო სხვაობიდან	17,067
სულ ფინანსური შემოსავალი	44,438

საპროცენტო შემოსავალი მოიცავს: დეპოზიტებზე დარიცხულ პროცენტს და ფიზიკურ პირზე გაცემული სესხის პროცენტს.

კომპანიას გახსნილი აქვს მოთხოვნამდე დეპოზიტი და ვადიანი დეპოზიტი ლარში 2% და 9 %-იანი სს „საქართველოს ბანკში“.

8. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	შენობა	ელექტრ. გადაცემის და კავშირგ. მოწყობ.	საოფისე აღჭურვ.	ავტომობ. და სხვა ინვენტარი	სატრანს. საშუალ.	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარ.	1,164,744	8,210	136,607	189,049	179,875	1,678,485
შეძენა	-	696	5,140	-	-	5,835
ჩამოწერა	-	-	(95)	-	-	(95)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	1,164,744	8,906	141,652	189,049	179,875	1,684,225
ცვეთა და გაუფასურება						
2018 წლის 1 იანვრის მდგ.	(82,123)	(4,280)	(52,578)	(51,749)	(28,208)	(218,938)

შპს „ორისი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ჩამოწერა	-	-	40	-	-	40
ცვეთა წლის მანძილზე	(11,876)	(672)	(9,035)	(8,087)	(7,916)	(37,586)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	(93,999)	(4,952)	(61,573)	(59,836)	(36,124)	(256,484)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 1 იანვრის მდგ.	1,082,621	3,930	84,029	137,300	151,667	1,459,547
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	1,070,745	3,954	80,079	129,213	143,751	1,427,741

9. არამატერიალური აქტივები

ღირებულება	ლიცენზიები	პატენტები	სხვა არამატერ. აქტივები	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	17,993	-	38,295	56,288
შეძენა	-	-	7,107	7,107
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	17,993	-	45,402	63,395
ცვეთა და გაუფასურება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(4,677)	-	(7,872)	(12,549)
ცვეთა წლის მანძილზე	(898)	-	(1,174)	(2,072)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	(5,575)	-	(9,046)	(14,621)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	13,315	-	30,424	43,739
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	12,418	-	36,357	48,774

10. სხვა გრძელვადიანი აქტივები

მოიცავს კომპანიის მიერ გაცემული სესხის ძირი თანხის გრძელვადიან ნაწილს.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. სხვა მიმდინარე აქტივები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
დეპოზიტის დარიცხული პროცენტი	-	38,959
გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი	4,732	3,192
საგადასახადო აქტივი	46,752	18,507
სულ სხვა მიმდინარე აქტივი	51,484	60,658

12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
საქონელი	1,490	18
ნედლეული და მასალები	34,900	36,234
დაუმთავრებელი წარმოება	950	543
	37,340	36,795

13. ფული და ფულის ექვივალენტები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული სალაროში	12,275	12,356
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	3,856,142	4,780,925
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	283,705	276,484
სულ	4,152,122	5,069,765

ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე მოიცავს 2 %-იან მოთხოვნამდე დეპოზიტს და 9%-იან ვადიან დეპოზიტს ლარში სს „საქართველოს ბანკში“.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წელს მოხდა დივიდენდების გაცემა 421, 053 ლარის ოდენობით.

შპს „ორისი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას არ აქვს.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 23 სექტემბერს.

შპს „ორისი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)